შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ი ს ო ქ მ ი

ქ. ბათუმი 29.06. 2015

ერთის მხრივ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის (შემდგომში შემსყიდველი) უფროსის მ/შ დავით მიქელაძესა და მეორეს მხრივ ააიპ ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბილიარდის ფედერაცია"-ს პრეზიდენტს თემურ კახიძეს შორის 2015 წლის 11 მაისს დადებული იქნა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N277 ხელშეკრულება.

1. 2015 წლის 23 ივნისის N810 კორესპონდენციისა და ხელშეკრულების მე-5.1 და მე-5.4. პუნქტების შესაბამისად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის უფროსის მ/შ დავით მიქელაძე და ააიპ ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბილიარდის ფედერაცია"-ს პრეზიდენტი თემურ კახიძე შევთანხმდით მასზედ, რომ ხელშეკრულების 1.1. და 1.3. ქვეპუნქტებში შეტანილი იქნას ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას და უზრუნველყოფს შემდეგი სახის სპორტული ღონისძიების ორგანიზებას (CPV **92622000**):

№	დასახელება	ადგილი	თანხა (ლარი)
1	ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ პირამიდაში	ბათუმი	50900,45

,,1.3. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 50900,45 (ორმოცდაათი ათას ცხრაასი და 45) ლარს."

2. შეთანხმება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

3. წინამდებარე შეთანხმება დაერთვის შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის 2015 წლის 11 მაისს დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N277 ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.

შემსყიდველი:

დავით მიქელაძე

შემსყიდველი

მიმწოდებელი:

თემურ კახიძე

მიმწოდებელი